№4 (9899) ◆ აპრილი, 2023 წელი ◆ ფასი 50 თეთრი ◆ გაზეთი გამოდის 1933 წლის 3 მაისიდან

# ქ რ ი ს ტ ე ა ღ დ გ ა !

## გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ნიკორწმინდაში წმ. ნიკოლოზის სახელობის საკათედრო ტაძარში სააღდგომო საღმრთო ლიტურგიას, რომელიც აღავლინა ნიკორწმინდელმა ეპისკოპოსმა ვახტანგმა, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის, ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელ პირებთან და მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად დაესწრო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი** და აქედან მიულოცეს სრულიად საქართველოს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული.

7 აპრილს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ხარების ბრწყინვალე დღესასწაული აღნიშნა. დღესასწაულთან დაკავშირებით, ნიკორწმინდელმა ეპისკოპოსმა მეუფე ვახტანგმა, ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად, სადღესასწაულო წირვა ბარაკონის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში აღავლინა, რომელსაც რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე-**ქრისტინა კობახიძე**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან – **ასლან საგანელიძესთან** ერთად დაესწრო.

ხარების დღესასწაულთან დაკავშირებით, ამბროლაურის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების თანამშრომლობის ფარგლებში, მრავალშვილიან და სხვადასხვა საჭიროების მქონე 70-მდე ოჯახს საყოფაცხოვრებო ნივთები და ტანსაცმელი გადაეცათ.

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით ქ. ამბროლაურის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა – დეკანოზმა **მამა ელიზბარმა** და მღვდელმა – **მამა პეტრემ** სხვა სასულიერო პირებთან ერთად ქალაქის ქუჩები აკურთხეს.

***

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცეს და სააღდგომო ნობათიები პირადად გადასცეს ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელმა პირებმა სოციალურად დაუცველ 72 ოჯახს.

## კულტურის მინისტრი რაჭაში

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი **თეა წულუკიანი** ქვეყნის სალოტბარო სკოლებში ვიზიტის ფარგლებში ამბროლაურში სტუმრობისას სახელმწიფო რწმუნებულ **პაპუნა მარგველიძესთან**, საქართველოს პარლამენტის წევრსა და მაჟორიტარ დეპუტატ **გოჩა ენუქიძესთან**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ასლან საგანელიძესთან**, მერ **ზვიად მხეიძესთან** და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად ეწვია სსიპ ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორ გიორგი დონაძესთან ერთად, ამბროლაურის სალოტბარო სკოლას, რომელიც კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით და ფოლკლორის ცენტრის ინიციატივით დაფუძნდა 2014 წელს. 2022 წელს განხორციელდა სარეაბილიტაციო სამუშაოები და ამ ეტაპზე სკოლაში 44 მოსწავლე სწავლობს.

მინისტრი გაეცნო სალოტბარო სკოლის მუშაობასა და ინფრასტრუქტურის მდგომარეობას. შეხვედრაზე სკოლის მოსწავლეებმა საკუთარი შემოქმედება წარმოადგინეს. მინისტრმა მადლობა გადაუხადა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებსა და პედაგოგებს რეგიონში ქართული ფოლკლორის მხარდაჭერისათვის.

მინისტრი ანსამბლის „საგალობელი“ წევრებს შეხვდა და სასიამოვნო ინფორმაციაც გააჟღერა: სამინისტროს მხარდაჭერით ანსამბლი მიმდინარე წლის ზაფხულში პარიზში, ლევილში გაემგზავრება და ქართულ მიწაზე სამინისტროს მხარდაჭერით დაგეგმილ ღონისძიებაში მიიღებს მონაწილეობას, რითაც საკუთარ შემოქმედებას უცხოელ აუდიტორიასა და იქ მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებს გააცნობს.

***

თეა წულუკიანმა ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმიც მოინახულა და მის დირექტორთან, მხატვარ ბესო კობახიძესთან ერთად, მუზეუმის განვითარების შესაძლებლობებზე იმსჯელა. მუზეუმი 1965 წლიდან ფუნქციონირებს და მასში დაცულია ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის, ავთო ვარაზის, ზურაბ ნიჟარაძისა და სხვა ქართველ მხატვართა ფერწერული, გრაფიკული, კერამიკული,სკულპტურული ნამუშევრები, ჭედურობის ნიმუშები.

მინისტრი ქვეყნის სალოტბარო სკოლებში ვიზიტის ფარგლებში ონის მუნიციპალიტეტსაც სტუმრობდა (თემის გაგრძელება იხილეთ მეოთხე გვერდზე).

# ჯ ე შ მ ა რ ი ტ ა დ ა ღ დ გ ა !

## სხდომა ონლაინ რეჟიმში

სამხარეო ადმინისტრაციაში ონლაინ რეჟიმში გაიმართა მორიგი საკონსულტაციო საბჭოს სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა ევროკავშირისა და გერმანიის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის „ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CESL) – ფარგლებში (ახორციელებს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება), გამოცხადებულ საპროექტო იდეების კონკურსზე წარდგენილი საპროექტო იდეები.

სხდომამ იმსჯელა ქ. ამბროლაურში, მახალდიანის ქუჩის მიმდებარე სანაპიროს ტერიტორიაზე, რაჭის კულტურული ძეგლების მინიატურული მაკეტების და ტურიზმის განვითარების მიზნით, ქ. ამბროლაურის შემოსასვლელში რაჭული ფოლკლორის ამსახველი ქანდაკებების მოწყობის შესახებ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარდგენილ განაცხადებებზე და ერთხმად მოიწონა აღნიშნული საპროექტო იდეები.

საბჭომ ასევე განიხილა და მოიწონა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მხარის ოთხივე მუნიციპალიტეტში მეორე ეტაპის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები.

## გაფართოებული შეხვედრა

ამბროლაურის კულტურის ცენტრში გაიმართა ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან, მუნიციპალური ა(ა).ი.პ-ს, შ.პ.ს-ის ხელმძღვანელებთან და თანამშრომლებთან გაფართოებული შეხვედრა, რომელსაც უძღვებოდნენ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე – **ქრისტინა კობახიძე**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი – **ზვიად მხეიძე** და საკრებულოს თავმჯდომარე – **ასლან საგანელიძე**.

შეხვედრაზე განიხილულ იქნა აღნიშნულ სამსახურებში არსებული მდგომარეობა, მიმდინარე სამუშაოები, დაგეგმილი ღონისძიებები. იმსჯელეს პრობლემურ საკითხებზე. ზოგიერთი მიმართულებით არსებულ ხარვეზებსა და მათი მოგვარების გზებზე, აგრეთვე იმ ინიციატივებზე, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს სხვადასხვა პროექტში ახალგაზრდების აქტიურად ჩართვას. მერის წარმომადგენლებმა ისაუბრეს სოფლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე და მოსახლეობის საჭიროებებზე. ითქვა ისიც, რომ მუნიციპალიტეტის სოფელებში მიმდინარე დასუფთავების სამუშაოებში სოციალური პროგრამით დასაქმებულების გარდა აქტიურადაა ჩართული მოსახლეობაც და დაგეგმილია სიახლეები როგორც ინფრასტრუქტურული პროექტების, ისე კულტურის, ტურიზმის და სხვადასხვა სფეროების მიმართულებით.

შეხვედრაზე, რომელიც ძირითადად კითხვა – პასუხის რეჟიმში წარიმართა, შეფასდა მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობა და დაისახა კიდეც სამომავლო გეგმები.

## ქალბატონი ნანა

სიცოცხლე ღმერთისაგან ბოძებული სასწაულია, რომელიც მილიონი ალბათობიდან ჩვენ გვარგუნა უფალმა. ჩემი აზრით, ყველა ადამიანს გარკვეულ მისიას აკისრებს უფალი. მან უწყის ვის როგორი ტვირთი აჰკიდოს: ზოგს მძიმე და ძნელად შესასრულებელს დააკისრებს, ზოგს კი ბედის ნებიერს, იოლად შესასრულებელი ხვდება წილად, იმასაც ვფიქრობ, ტვირთის სიმძიმე იმაზეა დამოკიდებული, ვინ რა პასუხისმგებლობით მოეკიდება განგების ნებას, ყველა საქმე სიყვარულით უნდა კეთდებოდეს, უნდა გიყვარდეს ადამიანი და ამ გადასახედიდან უნდა ხედავდე ყოველ შემხვედრ პრობლემას.

ადამიანია სამყაროს ცენტრი!

ადამიანია ადამიანის ღმერთი! როცა გიჭირს და საშველს არსაიდან ელი, უცებ რომ გამოჩნდება პიროვნება, შეიძლება სრულიად უცნობი, და რომ დაგაძლევინებს სირთულეს, ყოველგვარი საჭიროების გარეშე, განკაცებული ღმერთია, აბა, რა! კრიტიკულ მომენტში უფალი თავის რჩეულებს არ ტოვებს.

აზრი გამექცა და სიტყვა გამიგრძელდა. მინდა, ჩვენი უბნის ექიმს, საოცრად თბილსა და გულისხმიერ პიროვნებას, ადამიანის ფასის შესანიშნავად მცოდნესა და დამფასებელს, ქალბატონ **ნანა ბობოხიძეს**, მივულოცო აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული და როგორი თბილიც თვითონ არის თავისი პაციენტების მიმართ, ისეთივე თბილი სიტყვებით წარმოვაჩინო მისი პიროვნება, რა თქმა უნდა ჩემი გადმოსახედიდან. მიზეზთა გამო, შეიძლება, ხშირად ვერ სტუმრობდეს ველევს, მაგრამ თითქმის ყოველ საღამოს გებულობს თემში მაცხოვრებელთა ჯანმრთელობის მდგომარეობას, საჭიროების მიხედვით კონტაქტს ამყარებს შეუძლოდ მყოფთან, მარილიანი და თბილი სიტყვით გაამხნევებს, მისცემს სათანადო დარიგებას, თუ საჭიროდ მიიჩნევს, საავადმყოფოში დაიბარებს, თვითონ მიიყვანს სათანადო დარგის სპეციალისტთან, დაეხმარება გამოკვლევების ჩატარებაში, წამლებს გამოუწერს, ნუგეშს მისცემს, მოეფერება და გამოისტუმრებს თითქმის გამოჯანმრთელებულს, რადგან მკურნალი ექიმი ხომ 80 პროცენტი სიტყვაა და 20 პროცენტი წამალი, მეტი რა ქნას, ღმერთი არ არის, უფლის გარიგება რომ შეცვალოს, ადამიანს კი რაც შეუძლია, არ იშურებს. მისი ქმედება ადამიანების სიყვარულითა და პროფესიონალიზმიდან მომდინარეობს იმედის ნაპერწკლის გასაჩენად, თვითრწმენის გასაძლიერებლად.

გმადლობთ, ქალბატონო ნანა, რომ არსებობთ!

თქვენთან ერთად გაზაფხულსა და აღდგომის დღესასწაულს ვულოცავ, ჩვენი რაიონის ჯანმრთელობის სადარაჯოზე მდგომ ყველა ექიმსა და ყველა მუშაკს. ყველას ადამიანთა სიყვარულით გვეკეთებინოს ჩვენი საქმე. მხოლოდ სიყვარული და უფალი თუ გვიხსნის კატაკლიზმებითა და დენთით დამუხტული ტექნიკის საუკუნის პრობლემებისაგან.

უფალი ჩვენთან!

*ეკა ჭიჭინაძე*

## ინფორმაცია

გაიმართა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს 38-ე რიგგარეშე სხდომა, რომელმაც მოიწონა მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი პრიორიტეტული პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული საპროექტო წინადადებები. ცვლილებები შეიტანა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის №18, №20 და 2018 წლის №15 დადგენილებებში, აგრეთვე 2017 წლის №20 განკარგულებაში. განიხილა საკითხი „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში მდებარე უსახელო ქუჩების არაბული ციფრებით სახელდების შესახებ“.

სხდომამ დაამტკიცა – ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მოსწავლეების მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ ორგანიზებულ ღონისძიებებზე მივლინებისას კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესი. „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგია 2023-2025“ და „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის 2023 წლის“ სამოქმედო გეგმა.

* * *

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის 39-ე მორიგმა სხდომამ მოისმინა და შეაფასა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო, სოციალური და ჯანდაცვის სამსახურების უფროსების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტალის შესრულებისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების მიმდინარეობის შესახებ.

## პროექტების ნუსხა დამტკიცებულია

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში ამბროლაურის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსებისათვის გამოყოფილია 734000 ლარი. შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა მოსახლეობის მიერ შერჩეული პროექტების ნუსხა და დასახელებების მიხედვით განაწილებული თანხაც, რის თანახმადაც წელს 18 ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ორგანოში შემავალ სოფლებში განხორციელდება 69 პროექტი. მათგან ძირითადია სასმელი წყლის სისტემების და სათავე ნაგებობების რეაბილიტაცია. კერძოდ ტბეთში, გოგოლათში, ჩორჯოში, ზედა შავრაში, პირველ ტოლაში, ქედის უბანში, მუხლში, ხიმშში, ლიხეთში, იწაში ნიკორწმინდაში, სულ 24 სოფელში, რაც სწორი და მისასალმებელი არჩევანია. ბოსტანაში და უყეშში მოეწყობა სანიაღვრე არხები. პატარა ონში ჩიკვაიძეების და ჯებაშვილების, ქვედა შავრაში ჭელიძეებისა და გვენცაძეების, ხოტევში ყრუაშვილების საუბნო გზების რეაბილიტაცია.

ჭრებალოში, გენდუშში და ჟოშხაში რეაბილიტირებული იქნება აგრეთვე სალოცავსა და სავარგულებამდე მისასვლელი გზები, ველევში, ზნაკვაში, ზედა და ქვედა თლუღში შემოიღობება და კეთილმოეწყობა სასაფლაოები, ხოლო სხვავაში შეკეთდება სასაფლაოებამდე მისასვლელი გზა. მე-2 ტოლაში, ხვანჭკარაში, ნამანევში, აბარში მოეწყობა სკვერები, ღვიარაში განხორციელდება ნაპირსამაგრი სამუშაოები. ბარეულში, აბანოეთში, ქვიშარში, თხმორში, კაჩაეთში, ფუტიეთში, ზედა ღვარდიაში, ბაჯში მოეწყობა გარე განათება, ხოლო ხონჭიორში გზისპირა მოსაცდელი...

წინა წლების მსგავსად იქ, სადაც „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გამოყოფილი დაფინანსება არჩეული პროექტის რეალიზაციისთვის არ აღმოჩნდა საკმარისი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით მოხდა მოსახლეობის სურვილის დაკმაყოფილება. მაგალითად: ბუგეულში და ძირაგეულში სასმელი წყლის სისტემების, ზედა ჭყვიშში სასოფლო გზის რეაბილიტაციის, გურესაშვილების და გაბიცინაშვილების უბანში სანიაღვრე არხების, საკეციაში სპორტული მოედნის მოწყობას დასჭირდა თანხების დამატება და 38 000 ლარი გამოიყო კიდეც.

ე.ი. წელს სულ „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით განსახორციელებელ პროექტებზე დაიხარჯება 772 000 ლარი, რაც ნამდვილად არაა მცირე თანხა და თუ გონივრულად შერჩეული პროექტების რეალიზაციის პროცესებს მოსახლეობა პასუხისმგებლობით, მოქალაქეობრივი პოზიციიდან მიადევნებს თვალს შედეგიც სასურველი იქნება.

იმედია, მოსახლეობის და შემსრულებელთა პოზიციები დაემთხვევა ერთმანეთს და იქნება მხოლოდ საქმის კეთილსინდისიერად შესრულებაზე ორიენტირებული.

## ევროპის იმუნიზაციის კვირეული

ევროპის იმუნიზაციის კვირეული ყოველწლიურად აპრილის ბოლოს იმართება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ეგიდით. წელს კვირეული 23-29 აპრილს ჩატარდება, ტრადიციულად დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან მჭიდრო თანამშრომლობით.

საქართველოში იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამას საფუძველი ჩაეყარა 1996 წელს სახელმწიფო პროგრამით 0–18 წლის ასაკის მოსახლეობის ვაქცინაცია მიმდინარეობს 13 ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინით, ესენია; ტუბერკულოზის, დიფტერიის, ყივანახველას, ტეტანუსის, პოლიომიელიტის, წითურას, წითელას, B ჰეპატიტის, როტავირუსული ინფექციის, ადამიანის პაპილომავირუსის, პნევმოკოკური ინფექციის და ჰემოფილუს ინფლუენცია ტიპი ბ საწინააღმდეგო ვაქცინა და გამოიყენება WHO-ს, EMA-ს, FDA-ს მიერ რეკომენდებული და აღიარებული ვაქცინები, რაც მაღალი ეფექტურობისა და უსაფრთხოების გარანტია, პროგრამული ვაქცინები უფასოა მომხმარებლისთვის – ვაქცინის ღირებულებას სრულად ფარავს სახელმწიფო იმუნიზაციის პროგრამის ფარგლებში ამავე პრინციპების დაცვით სახელმწიფო ქვეყნის მოსახლეობას უზრუნველყოფს გრიპის, ანტირაბიული, ყვითელი ცხელებისა და COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინებით, ზოგიერთი დაავადების/მდგომარეობის საპროფილაქტიკო ან სამკურნალო ბიოაქტიური პრეპარატით.

საქართველოში 2019 წლიდან დაწესდა პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო აცრა 10–11–12 წლის გოგონებში. 2022 წელს ასაკი 18 წლამდე გაიზარდა. 2023 წელს კი --26 წლამდე.

15 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში ვაქცინაცია ორჯერადია მინიმუმ 6 თვის ინტერვალით.

15-26 წლის ასაკობრივ ჯგუფში პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო აცრა სამჯერადია 0-2-6 თვე. პირველ და მეორე აცრას შორის მინიმალური ინტერვალი უნდა იყოს არანაკლებ ერთი თვე, ხოლო მეორე და მესამე დოზას შორის მინიმალური ინტერვალი არანაკლებ სამი თვე.

**ვაქცინაცია სიცოცხლისთვის საშიში დაავადებებისგან დაცვის ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალებაა.**

**თქვენც შემოგვიერთდით**

*ამბროლაურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი*

# 9 აპრილი ეროვნული ერთიანობის სიმბოლო

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში 1989 წიდან 9 აპრილს ორმაგი დატვირთვა აქვს. თითოეული ქართველისათვის ეს დღე არის ტრაგიკული, ამავდროულად გმირობის, ვაჟკაცობის, ქვეყნის სიყვარულისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სიმბოლო. რადგან ამ დღეს უდიდესი გმირობა და თავგანწირვა გამოიჩინეს ქართველებმა, რაც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებით დასრულდა.

34 წელიწადი გავიდა და ტრადიციულად წელსაც ქვეყნის მასშტაბით პატივი მიაგეს იმ გმირების ხსოვნას, რომელთა ღვაწლი ქვეყნის წინაშე შეუფასებელია.

9 აპრილს, ეროვნული ერთიანობის დღეს, დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს და თანმხლებ პირებთან ერთად ყვავილებით შეამკეს მემორიალი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **ასლან საგანელიძემ** და მერმა **ზვიად მხეიძემ**.

# ენა - ქართველი ერის ფასდაუდებელი განძი




ქართველთათვის განსაკუთრებულად ძვირფასია 14 აპრილი, რომელიც 1990 წლიდან აღინიშნება, როგორც დედაენის დღედ. მამაპაპათაგან დატოვებული სამი საუნჯიდან – მამული, ენა, სარწმუნოება, 1978 წელს საფრთხე დაემუქრა ენას. საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებით მოკავშირე რესპუბლიკებში კონსტიტუციით სახელმწიფო ენად რუსული მტკიცდებოდა.

საამაყოა, რომ მაშინ მხოლოდ საქართველოს მოსახლეობამ ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად შეძლო მასობრივი გამოსვლებით წინ აღდგომოდა იმპერიას და არ დაუშვა ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის გაუქმება.

1990 წლიდან 14 აპრილი ქვეყანაში დაწესებულია დედა ენის დღედ. დედა ენის,რომელსაც ერმა ძეგლიც აუგო და მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მას სამწუხაროდ, მამულთან და სარწმუნოებასთან ერთად, დღესაც საფრთხე ემუქრება. ენა განძია და მას დაცვა, გაფრთხილება უნდა.

არ დაგვავიწყდეს ეს თითოეული ჩვენთაგანის პატივისა და ღირსების საქმეა.

# სოფლის მეურნეობა - სტრატეგიული სფერო

ხელისუფლებამ **სოფლის მეურნეობა** სტრატეგიულ სფეროდ განსაზღვრა, რადგან ქვეყნის მომავალი ძლიერი სოფლის გარეშე წარმოუდგენელია. ძლიერი სოფელი კი ძლიერი ფერმერია, რომლებიც ბოლო წლებია სახელმწიფოსაგან მეტ მხარდაჭერასა და ყურადღებას იღებენ. ბუნებრივია, ჩვენს რეგიონშიც ამ მიმართებით ბოლო წლებია სასიკეთო ცვლილებები შეიმჩნევა, რაშიც დიდია სოფლის მეურნეობის სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული სამსახურის წვლილი (ხელმძღვანელი ანა კანთელაძე), რომელმაც ახლახანს (აპრილში) 10 წლის იუბილე აღნიშნა. დაინტერესებულ პირებთან კონტაქტებით, კონსულტაციებით, არსებული პროგრამების პირობების გაცნობით, ხელშეწყობითა თუ თანამშრომლობის სხვა ფორმრებით სამსახურის კვალიფიციური დარგების სპეციალისტებმა რეგიონში 14400 ფერმერს, ადგილებზე თუ ფერმერულ მეურნეობებში, გაუწიეს დახმარება.

შედეგიცაა. ყოველწლიურად იზრდება ფერმერული მეურნეობების შემქმნელთა რაოდენობა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში შექმნილი ვითარების გამო მივიწყებული სოფლის მეურნეობის დარგების აღდგენა-განვითარება აქტიურად მიმდინარეობს რეგიონში. ცხადია, ამბროლაურის მუნიციპალიტეტშიც, რომელსაც მიუხედავად მცირემიწიანობისა, საუცხოო ტრადიციები გააჩნდა სხვადასხვა დარგების განვითარების კუთხით. თუმცა მაინც მელვინეობა-მევენახეობა იყო ის დედაძარღვი, რომლითაც იკვებებოდა რაიონის შესაბამისი სოფლები. ჩვენც რეგიონულ სამსახურთან თანამშრომლობით ვიწყებთ ახალ რუბრიკას – **„ძლიერი სოფელი – ძლიერი ფერმერი“**, რომლის ქუდის ქვეშაც მკითხველს გავაცნობთ იმ ადამიანებს, რომლებმაც მამა-პაპისეული ფუძე კი არ მოშალეს, გააძლიერეს. კრეატიული აზროვნებით, საკუთარი გარჯით მიაღწიეს იმას, რომ ქვეყნის საზღვრებსაც გასცდნენ, საკუთარი პროდუქციის რეალიზაციით დოვლათიც შექმნეს და უფრო ცნობადი გახადეს მუნიციპალიტეტი. ერთი სიტყვით ეს ადამიანები, უკვე ფერმერებად წოდებულნი, ქვეყანასაც ადგიან და საკუთარ თავსაც.

მათ უნდა იცნობდეს საზოგადოება. გვინდა მაგალითებად იქცნენ არამარტო აქაურებისათვის, არამედ გაქალაქელებულ თანაკუთხელებისთვისაც. კარგია, რომ შემომხმარი „კარის მამულების“ ძებნა დაიწყეს შთამომავლებმა, იქნებ კიდევ უფრო მეტ სახლს შემოეხსნას სიმარტოვის მარწუხები. იქნებ ისევ ხალხმრავალი გახდეს ჩვენი სოფლები.

რეგიონულ სამსახურში გაგვიმარტეს, რომ დარგის სპეციალისტები მზად არიან სოფლებსა და ქალაქს შორის იმ ხიდის ასაგებად, რომელიც დაეყრდნობა წლების მანძილზე დაგროვილ ცოდნას, თანამედროვე სიახლეებისა და არსებული რესურსების თანხვედრით ეფექტურად, სწორად გამოყენება-დანერგვას. ე.ი. საქმიანობის მთავარი მოტივატორია სოფლის მეურნეობის დარგების მუდმივი განვითარება და წინსვლა.რედაქციისა და სამსახურის აზრები ემთხვევა ერთმანეთს და რუბრიკით „ძლიერი სოფელი – ძლიერი ფერმერი“ მკითხველს ვთავაზობთ სერიიდან პირველ წერილს,რითაც ვიწყებთ კიდეც, როგორც ახალი სახელების გაცნობას, ისე მათი საქმიანობის პოპულარიზაციასაც.

დღეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში „ალექსანდრეულისა“ და „მუჯურეთულის“ ჯიშის ვაზით გაშენებული ვენახის ჰექტრები სწრაფად იზრდება. საარსებო სივრცის მოძიება გრძელდება. მევენახე ფერმერი ქალბატონებით ვიწყებთ. აი ისინიც: **შორენა პატარიძე** და **ხატია წვერავა**.

# ეკომეურნეობაზე ორიენტირებული ფერმერი

ხშირად კეთდება შეფასებები იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველომ ღვინის ექსპორტის ტრადიციული ბაზრების ჩანაცვლება უნდა შეძლოს. ისეთ ბაზარზე უნდა გადაერთოს, სადაც ქართული ღვინო უფრო მეტად ფასობს და ბევრად მაღალ ფასშიც იყიდება. ასეთია ევროკავშირის ბაზარი, სადაც ექსპორტისათვის მელვინეებს კონკრეტული რეგულაციების დაკმაყოფილება უწევთ. მათ შორისაა ბიოსერთიფიცირება.

ეკომეურნეობაზე ორიენტირებული ერთ-ერთი ბიოსერთიფიკატის მფლობელი მელვინე რაჭაში **შორენა პატარიძეა**. ვაზის სიყვარული მშობლებიდან გადმოეცა. მათთან ერთად ვენახში ფუსფუსი მისთვის უცხო არასოდეს ყოფილა და როცა საჭირო გახდა სოფელში დაბრუნდა, მშობლებს მხარში ამოუდგა და საოჯახო მეურნეობა არა მარტო გადაარჩინა არამედ გააფართოვა კიდეც. ბაბუისეული მარანი თვითრეალიზაციისათვის ღია სივრცე აღმოჩნდა. დღეს ბუგეულში 2 ჰექტარზე ალექსანდრეულის და მუჯურეთულის ჯიშებით გაშენებულ ვენახის ფართობს ფლობს და საკუთარ ღვინის ქარხნასაც, სადაც მუდმივად დასაქმებული ჰყავს ორი ადამიანი, ხოლო სეზონურად ასაქმებს 10-ზე მეტს.

თავიდანვე გადაწყვიტა ვაზის მოვლა ბიოპრეპარატებით და ევროკავშირის, ავსტრიისა და შვედეთის პროექტ „GRETA“-ს დახმარებით სერთიფიკატიც აიღო, რის შედეგადაც თავისი ღვინო ექსპორტზეც გაიტანა. ღვინო ევროკავშირის ბაზარზე ცნობილია სახელით – **„პატარიძეების რაჭული“** და დიდი მოწონებითაც სარგებლობს. კერძოდ ამერიკაში, იტალიაში, საფრანგეთსა და ჩინეთში. შორენამ ასევე „GRETA“-ს პროექტის ფარგლებში შეიძინა უჟანგავი ცისტერნები, კლერტსაცლელი და მინიტრაქტორი. ასევე სოფლის განვითარების სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული სამსახურის მხარდაჭერით ჩაერთო სახელმწიფო პროგრამაში „გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოები“.

შორენა აქტიურად მონაწილეობს ადგილობრივ აგროფესტივალებში და საზღვარგარეთ დაგეგმილ ღვინოს გამოფენა – გაყიდვის ღონისძიებებში, ესწრება მელვინეობის მიმართულებით სხვადასხვა ტრენინგებსაც. ერთი სიტყვით შორენა, როგორც ქალი მეწარმე. მარკენტოლოგი, ფინანსისტი და რაც მთავარია, როგორც მოქალაქე მაგალითია საზოგადოებისათვის. წარმატებები მას სამომავლო ფართომასშტაბიანი გეგმების განხორციელებიაში.

# ძველებური გემოს დაბრუნება ახლით

**ხატია წვერავა** მეუღლესთან და სამ შვილთან ერთად რაჭაში სოფელ ძირაგეულში ცხოვრობს, მეუღლის ოჯახი ოდითგანვე მისდევდა მევენახეობას. ხატიამ გადაწყვიტა ეს ტრადიცია გაეგრძელებია და დიდი მონდომებით ჩაერთო ღვინის წარმოებაში. 1 ჰექტარზე გაშენებული აქვთ ალექსანდრეული, მუჯურეთული, შავი კაბისტონი და ძველშავი. ყურძენს ტრადიციული მეთოდით საუკუნოვან ხის საწნახელში წურავენ. ჯერ-ჯერობით 500 ლიტრამდე ხვანჭკარას აწარმოებენ, რომელიც გამოირჩევა გემოვნური თვისებებით. ღვინის წარმოებასთან ერთად დაებადა იდეა დაემზადებინა „რაჭული ლორიც“, რადგან რაჭულ სუფრაზე ღვინის განუყოფრლი ნაწილი ტრადიციულად ხომ შებოლილი ლორია. მან არასამთავრობო ორგანიზაცია WWF (ბუნების მსოფლიო ფონდი)-გან მოიპოვა მცირე გრანტი. მოაწყო შესაბოლი ოთახი და დაიწყო ლორის დამზადება, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

ორივე პროდუქტის რეალიზება ძირითადად ადგილობრივ ბაზარზე ხდება, პირადი შეკვეთებით ექსპორტზეც გააქვთ. რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონული სამსახურის დახმარებით და (LDA) რაჭის მდგრადი განვითარების ასოციაციის მხარდაჭერით მოიპოვა გრანტი, რომლითაც შეძენილი იქნა დახლ-მაცივარი, სადაც ზაფხულის პერიოდში ლორის შენახვით შესაძლებელი გახდა წარმოების გაზრდა, ამით ხარისხიან პროდუქციაზე დიდი მოთხოვნა წამოვიდა. რამაც ხატიას კიდევ ახალი იდეის რეალიზებისათვის სტიმული მისცა. გადაწყვიტა მომხმარებლისათვის შეეთავაზებინა ისეთი რამ რაც ტრადიციულიცაა და სიახლეც. ასეთი აღმოჩნდა „საშობაო ლიქიორი“, რომელიც მზადდება ძველი წესით ანუ მზეზე დადუღებულის ბოთლებში ჩამოსხმა. ეს იყო ძველებური გემოს დაბრუნება ახალი სახით. ხატია მუდმივად ახალი იდეების ძიებაშია. სამომავლოდ ფიქრობს დაამზადოს ღვინის კონიაკი. პროდუქციის წარმოებაში და საოჯახო ბიზნესის განვითარებაში მას ძალიან ეხმარება სხვადასხვა ფესტივალებში სისტემატური მონაწილეობა, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მიმართულებით სხვადასხვა ტრენინგებში ჩართულობა.

# წარმატებული პრემიერა

ამბროლაურს კულტურული ცხოვრების უმდიდრესი ისტორია გააჩნია. გამორჩეულად მაინც თეატრალური კუთხით. რაიონის თითქმის ყველა სოფელში მოქმედი სცენისმოყვარეთა ჯგუფების არსებობა იმაზე მიუთითებდა, რომ ინტელიგენციას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული თეატრის როლი და მისი კეთილი გავლენის მნიშვნელობა ახალგაზრდა თაობაზე. ძირითად კერად და წამმართველ ცენტრად მაინც, 1929–30 წლებში ადგილობრივი და ქალაქელი რაჭველების შემოწირულობით აგებული, ხის ჩუქურთმნიანი კლუბი იყო, რომელიც 1935 წელს კულტურის სახლად გადაკეთდა. 1946 წელს აიგო დღევანდელი კულტურის სახლი, რომლის სცენაზე დადგმულ და პროფესიონალურ დონეზე შესრულებულ სპექტაკლებს მაყურებელი არასოდეს მოკლებია. 1959 წლიდან ამბროლაურის თეატრი საქართველოში „სახალხო თეატრის“ წოდების მატარებელია.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი რაჭაში სამუშაო ვიზიტისას სამხარეო ადმინისტრაციის, ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელ პირებთან, მაჟორიტარ დეპუტატთან, მუნიციპალიტეტისა და თეატრის სფეროს წარმომადგენლებთან, ამბროლაურის კულტურის ცენტრის დირექტორთან და თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან ერთად, კულტურის ცენტრში გამართული სპექტაკლის **„ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“** პრემიერას დაესწრო, რომელიც მოწვეულმა რეჟისორმა მამუკა ცერცვაძემ დადგა.

სპექტაკლი ეხება აგვისტოს ომის მოვლენებს და მასში ამბროლაურის თეატრის მსახიობებთან ერთად, მონაწილეობდნენ: ონის თეატრის მსახიობი გიორგი ბერიშვილი, ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის თეატრის მსახიობები ნანუკა ისიანი და გიორგი გლოველი, ამბროლაურის თეატრის დასიდან მსახიობები – ზაზა მეტრეველი, ირინა ჩიხრაძე, ლილიანა მხეიძე, თამარ ობოლაშვილი, ლადო გოგოლაძე, დავით დაუშვილი, გელა ისიანი და სხვანი.

მინისტრმა თეატრის ხელმძღვანელობას, ადგილობრივ და მოწვეულ მსახიობებს მიულოცა წარმატებული პრემიერა და სხვადასხვა რეგიონის თეატრის დასებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელობაზე ისაუბრა. თეა წულუკიანი პრემიერაზე მოწვეულ სხვადასხვა რეგიონის კულტურის ცენტრების წარმომადგენლებს სამინისტროს მიერ სპეციალურად სახალხო თეატრებისთვის დაარსებული „სიღნაღის თეატრალური ფესტივალის“ შესახებ ესაუბრა და მასში მონაწილეობისკენ მოუწოდა. მინისტრმა მადლობა გადაუხადა ადგილობრივ მუნიციპალიტეტს თეატრისთვის სამართლებრივი სტატუსის მინიჭების საკითხზე მუშაობისთვის, რაც კულტურის სამინისტროს თეატრის რეალური მხარდაჭერის საშუალებას აძლევს.

## გენდერი ფოკუსში

ამბროლაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრმა, „გენდერი ფოკუსში, ქართული თემები მდგრადი განვითარებისათვის“ პროექტის ფარგლებში, გენდრის ფესტივალს უმასპინძლა. მოეწყო ზრდასრულთა განათლების ცენტრის კურსების ნამუშევრებისა და სამხატვრო სკოლის მიერ წარმოდგენილი ნახატების გამოფენა. ასევე, რაჭული სამზარეულოს მასტერ კლასი. ხოლო, მუსიკალურად ფესტივალი გააფორმეს: ქალთა ანსამბლმა „იავნანა“, ამბროლაურის მუსიკალურმა სკოლამ და ბენდმა „კიდო ბანმა“.

ფესტივალს ესწრებოდნენ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე – ქრისტინა კობახიძე და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ასლან საგანელიძე.

## მილოცვა მეგობარს

**ზურაბ მხეიძე სამეგობროსათვის დიდი გულის ადამიანია. ამავდროულად ხელოვანი. მისი ნახატები, თბილ და ლამაზ ოჯახში, ზღაპრულ სამყაროს გიქმნის. საოცარი ზამთრის პეიზაჟებით დაფარული კედლები, გაზაფხულის მაუწყებელი აფეთქებული ყვავილებითა თუ მთებზე შეფენილი ლამაზი სახლებით და სხვა ღრმა შთამბეჭდავი დასამახსოვრებელი ნახატები თითქოს არა მარტო გამოგზაურებს ბუნების სამყაროში, არამედ ღრმად ჩაგახედებს ადამიანის სულშიც. აპრილი მისი თვეა. ასაკს არ ვამხელთ. ჩვენთვის მარად ახალგაზრდა მეგობარს გვინდა დაბადების დღე მივულოცოთ.**

**ზურაბ გილოცავთ დაბადების დღეს! გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და წინსვლას შემოქმედებაში.**

*სამეგობრო*

## სასკოლო ოლიმპიადა

„სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2023“-ის ფარგლებში ქ.ამბროლაურში გაიმართა სპორტის სხვადასხვა სახეობებში შეჯიბრებები რეგიონის საჯარო სკოლებს შორის. სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიცაა: მინიფეხბურთი, კალათბურთი, გეზრბენი, მაგიდის ჩოგბურთი და ბადმინტონი თავი გამოიჩინეს ქალაქის პირველი და მეორე, სადმელის, ხვანჭკარის ბოსტანის, ნიკორწმინდის საჯარო სკოლების სპორტსმენებმა.

გამარჯვებულები, რომლებსაც ამბროლაურის მუნიციპალიტეტისაგან სიგელები და პრიზები საზეიმო ვითარებაში გადაეცათ, მონაწილეობას მიიღებენ სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ზონალურ თამაშებში.

სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ სასკოლო სპორტული ოლიმპიადისადმი ინტერესი ყოველწლიურად მატულობს. კულტურის, განათლების სამინისტროებისა და ეროვნული სპორტული კომიტეტის მიზანიც სწორედ ისაა, რომ სპორტისადმი ინტერესი გაიზარდოს რეგიონებში მცხოვრებ მოსწავლე-ახალგაზრდობაში და ხელი შეეწყოს გამოვლენილ ნიჭიერ ბავშვებს სპორტული კარიერის სწორად წარმართვაში.

## ფალავნები ფალავნობენ

წლებია ამბროლაურის საჭიდაო კლუბ „ფალავანის“ მოჭიდავეები ქვეყნისა თუ საერთაშორისო ჩემპიონატებზე მოპოვებული მაღალი შედეგებით გვახარებენ.

ახლახან კლუბის „ფალავანი“ მოჭიდავეებმა ქ. ხაშურში გამართულ საქართველოს პირველობაზე 20 წლამდელთა შორის თავისუფალი სტილით ჭიდაობაში გუნდური მეორე ადგილი დაიკავეს. მათ ანგარიშზეა: ორი ოქრო, ორი ვერცხლი და ხუთი ბრინჯაო.

ვულოცავთ ახალგაზრდა სპორტსმენებს და მათ მწვრთნელებს მიღწეულ წარმატებებს და გვჯერა, რომ წელსაც კლუბის „ფალავანი“ მოჭიდავეები მრავალრიცხოვან გულშემატკივარს არაერთხელ გაახარებენ მაღალი შედეგების მოპოვებით.

## ნარგიზი ტურძილაძის ხსოვნა

ამბროლაურში მაღალი საზოგადოების სამახვშოდ მიჩნეულ ლეონიდე ტურძილაძის ოჯახში, საიდანაც მუდმივად ქართული სიტყვა და მუსიკა გასაოცარ ფერებში იღვრებოდა, მაღალი ზნეობის იშვიათი ნიმუშის წარმომადგენელი 6 შვილი აღიზარდა.

ინტელექტუალი ოჯახის ბედნიერება მშობლების ნანატრი შვილის, ხუთი დის საფიცარი ძმის – ლევის 41 წლის ასაკში ტრაგიკულად აღსრულებამ დაარღვია. თითქოს დააჩქარა კიდეც ერთადერთ ძმისშვილზე მზრუნველი მამიდების ამ წუთისოფლიდან თანმიმდევრობით გასვლა. ახლახანს, ბოლო, მეექვსე ნარგიზა ტურძილაძეც მიეახლა მათ, ყველას და ყველაფრის წინაშე ვალმოხდილი. თითქოს შეისმინა უფალმა მისი სურვილი. გაზაფხულზე – მაისში დაბადებული აპრილში აღესრულა.

თბილისსა და რუსთავში ცნობილმა ფილოლოგმა, თაობების აღმზრდელმა, სამართლიანმა, კაცთმოყვარე, ფაქიზი სულის ადამიანმა სერიოზული კვალი დაამჩნია რაჭის თეატრალურ ცხოვრებას. საზოგადოებრივი საქმიანობით, ქვეყანაში გამომავალ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული წერილებით, საკუთარი ლექსებით, პუბლიკაციებით, საგვარეულო საღამოების რედაქტორობით მოხიბლულ მკითხველსა თუ მაყურებლს ხმამაღლა ათქმევინა: ამ ქალბატონში ერთადაა შერწყმული გარეგნული და სულიერი სილამაზეო.

ჰო და, ასე ლამაზად და ღირსეულად მიაცილეს, ამბროლაურზე და რაჭველებზე უზომოდ შეყვარებული ქალბატონი, საფიცარმა ძმისშვილმა ლილიმ, დისშვილებმა განსასვენებლამდე და მშობლების, ძმის ლევიკოს, დის მაყვალას გვერდით მიუჩინეს სამუდამო ბინა. რამდენიმე დღეა მშვიდად განისვენებს ვალმოხდილი მათ გვერდით. სულ მალე, 40 დღის გასვლის შემდეგ, შეხვდება მონატრებულ დებს – ლილის, ნანულის, გულნაზის, ოჯახის პირველ დიდ ტკივილს სიძეს რევაზ კობახიძეს, როლანდი ფოფხაძეს, არჩილ აფციაურს, რომლებიც განისვენებენ ზესტაფონის, ნიკორწმინდის, ფასანაურის სასაფლაოებზე. ანგარიშით წარსდგება მათ წინაშე (დედამამიშვილებში ყველაზე დიდხანს მან იცოცხლა) და მშვიდად დაივანებს მისი სული მარადიულ სასუფეველში. იმ იმედით, რომ ლეონიდე და დარო ტურძილაძეების ოჯახის ტრადიციებს ღირსეულად გააგრძელებენ ძმისშვილისა და დისშვილების შთამომავლები.

ადამიანის სიცოცხლე ხომ იმით ფასდება რამდენი ხანი ემახსოვრებათ სიკვდილის შემდეგ. მარადიული ხსოვნა და ნათელი თქვენ ღირსეულო ადამიანებო. სერიოზული კვალი დატოვეთ ამიერში. დავიწყება არ გიწერიათ, დაიმსახურეთ.

*სამეგობრო*


**რედაქტორი**
**დალი დარახველიძე**

*რედაქციის მისამართი:*
ქ. ამბროლაური,
დავით აღმაშენებლის ქუჩა №24
ტელ: 593 60 40 67

„ამბროლაურის მოამბე“
რეგისტრირებულია ამბროლაურის
სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის №15/5/ბ103

გაზეთი დაიბეჭდა
ბაკური ჯილაძის მიერ
ქუთაისი, წერეთლის ქ. №186.
ტელ: 0431 23 45 54



გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს, ავტორი პასუხისმგებელია მასალის, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, შინაარსსა და სტილზე.